საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/22

ქ.თბილისი

"25" აგვისტო 2015 წ.

ოპერატორის მობილურ და ფიქსირებულ ქსელში მომავალზე ორიენტირებული, გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯებით „LRIC"-ით ურთიერთჩართვის ტარიფების მოდელის შემუშავებასთან დაკავშირებით სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასა" და შპს „იუაი საქართველოს" (ერნსტ & იანგი) შორის 2015 წლის 31 ივლისს გაფორმებული N31-07/15-1 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების 9.2 პუნქტის შესაბამისად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასა (შემდგომში „კომისია") და შპს "იუაი საქართველო" (ერნსტ & იანგი) შორის 2015 წლის 31 ივლისს გაფორმებული N31-07/15-1 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება") შესაბამისად ოპერატორის მობილურ და ფიქსირებულ ქსელში მომავალზე ორიენტირებული, გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯებით „LRIC"-ით ურთიერთჩართვის ტარიფების მოდელის შემუშავებასთან დაკავშირებით კომისიის ჩართულობისა და მომწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლის, შემოწმების, ასევე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) დავით გოგიჩაიშვილი - კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი (ჯგუფის ხელმძღვანელი);

ბ) დავით ქუთათელაძე - კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

გ) ირმა დეკანოსიძე - კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

დ) მერაბ კანკავა - კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
ე) ირინა ვერძეული - კომისიის აპარატის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
ვ) მარიკა სულაბერიძე - კომისიის აპარატის სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
ზ) თამარ მარღანია - კომისიის აპარატის ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი;
თ) არჩილ მაკარიძე - კომისიის აპარატის ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის არასაშტატო სპეციალისტი;
ი) ანა ნაკაშიძე - კომისიის თავმჯდომარის კონსულტანტი;
2. ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნულმა პირებმა უზრუნველყონ ზემოთ მითითებულ პროცესში მომწოდებლის მიერ მოთხოვნილი შესაბამისი ინფორმაციის მათთვის დროული მიწოდება და მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს სატენდერო განცხადების მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი.
3. კომისიის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი დავით გოგიჩაიშვილი;
4. ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 2016 წლის 15 თებერვლამდე;
5. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6) ერთი თვის ვადაში;
7. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი.ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე